



აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები და მათი მშობლები

თეონა შანთაძე

თემის ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების  
ფაკულტეტი

მაგისტრატურა, სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი

თბილისი, 2011

სარჩევი

აბსტრაქტი

შესავალი

**თავი I. აუტიზმი- ნეიროგანვითარების დარღვევა**

- I.1 აუტისტური სპექტრის დარღვევის (ASD) წარმოშობის ისტორია
- I.2 აუტისტური სპექტრის დარღვევასთან დაკავშირებული სტატისტიკა.
- I.3 აუტისტური სპექტრის დარღვევის გამომწვევი მიზეზები
- I.4 აუტიზმის კლინიკური სურათი
- I.5 აუტიზმის სამედიცინო დიაგნოსტიკა
- I.6 აუტიზმის სამკურნალო მეთოდები

**თავი II. აუტისტების მშობლები და მათი განწყობები**

- II.1 აუტისტების მშობლების განწყობებთან დაკავშირებული კვლევები  
და შედეგების განხილვა.

**თავი III. ექპერიმენტული კვლევა**

- III.1 საკითხის დასმა
- III.2 კვლევის მეთოდები, სტატისტიკა, ცდის პირთა მონაცემები

**თავი IV. ემპირიული კვლევის შედეგები**

- IV.1 შედეგების ანალიზი. დასკვნა

**გამოყენებული ლიტერატურა**

**დანართი**

## აბსტრაქტი

ბავშვები სამყაროს ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლებზეც საზოგადოების მომავალი დამოკიდებული. ბავშვთა ფიზიკური, ფსიქიკური ჯანმრთელობა უპირველესი საზრუნავია ყველა ქვეყნის, ოჯახის და მშობლის. მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მრავალი ბავშვია. „შესაძლებლობის შეზღუდვა არის დაავადების, ტრავმის, ანატომიური ან გონებრივი დეფექტის შედეგად გამოწვეული, ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი დარღვევით, რაც განაპირობებს ქმედუნარიანობის (თვითმომსახურეობის, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის) დროებით ან მუდმივ შეზღუდვას, რის გამოც საჭირო ხდება ადამიანის სოციალური დაცვა“. (საქართველოს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ კანონის თანახმად). ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ოჯახის როლი ბავშვის სოციალიზაციის პროცესში. ოჯახი წარმოადგენს ინდივიდის გარემო სიტემას, რომელშიც თავის მხრივ არსებობს ქვესისტემები. ოჯახი გარკვეულ წესრიგს ექვემდებარება, მასში არსებობს ჰომეოსტაზი, ანუ წონასწორობის მდგომარეობა და მისი დარღვევის შემთხვევაში იწყება „ოჯახური კრიზისის“ ეტაპი. ოჯახი არის ღია, თვითგანვითარებადი, მიზანმიმართული და თვითრეგულირებადი სისტემა, რომელსაც ბავშვის ემოციურ განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. ის წარმოადგენს ფუნქციონალურ ერთეულს, რომელიც აერთიანებს მისთვის დამახასიათებელ კომუნიკაციურ, კოგნიტურ უნარებს, ატიტუდებს, ემოციურ რეაქციებს, ქცევისა და ურთიერთობის ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებულ ფორმებს. ვირჯინია სატირი – საუბრობს ოჯახზე როგორც ერთ მთლიანობაზე, ცვლილება ოჯახის ერთ წევრთან იწვევს ცვლილებას ოჯახის ცხოვრების სისტემაში. ჩვილის დაბადებით მთელი ოჯახის ცხოვრების წესი იცვლება. ოჯახის თითოეულ წევრს განსაზღვრული როლი ენიჭება ბავშვის განვითარებაში. მშობლის როლი კი ამ მხრივ განსაკუთრებულია. ოჯახში ყალიბდება პირველი ურთიერთობა დედასა და ახალშობილს შორის და სწორედ ამ

ურთიერთობის კონტექსტში იწყება ბავშვის ემოციური განვითარება. ბოულბის – მიჯაჭვულობის თეორიის თანახმად, ბავშვის ემოციური განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს სწორედ მიჯაჭვულობის ჩამოყალიბება წარმოადგენს, დედაზე ან იმ ადამიანზე ვინც ბავშვის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. მშობელი რომლის შვილიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მუდმივი ფსიქოლოგიური სტრესით გამოირჩევა. მშობლისთვის რთული, ხანგრძლივი პროცესია აღიქვას „ბავშვის დაბადება პათოლოგიით“ და მასთან ადაპტირდეს. ჩატარებული კვლევის შედეგად, სადაც კითხვაზე: კონკრეტული სტრესორი რომელიც ასოცირდება თქვენს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილთან“ მშობლები ასახელებდნენ: დანაშაულის განცდა, მომავალზე ფიქრი, საზოგადოების მიუღებლობა, რთული ქცევა, შვილის დაცვის და მუდმივი მზრუნველობის შეგრძნება, ოჯახური კონფლიქტი მეუღლეებს შორის, გაზრდილი ფინანსური ტვირთი, კომპეტენტური დამხმარე სპეციალისტის მოძიება, სხვა შვილებში (და\_ძმა) გაზრდილი შფოთვის დონე.